

**პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტს, თუ იგი:**

- ✓ არის საქართველოს მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი საქართველოში ბინადრობის უფლებით;
- ✓ იმყოფებოდა საზღვარგარეთ ერთ წელზე მეტი ვადით არალეგალურად, ან საზღვარგარეთ ჰქონდა განაცხადი თავშესაფრის მიღებაზე
- ✓ მისი საქართველოში დაბრუნებიდან არ არის გასული 1 წელი.

**პროგრამაში მონაწილეობა არ შეუძლია პირს, თუ იგი:**



- ✓ საზღვარგარეთ წასული იყო ლეგალურად სასწავლო პროგრამით ან სამუშაო კონტრაქტით;
- ✓ არის IOM-ის „ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის პროექტის“ ან სხვა სარეინტეგრაციო პროგრამის მონაწილე საქართველოში.

**თუ აკმაყოფილებთ აღნიშნულ მოთხოვნებს, შეგიძლიათ ჩართოთ სარეინტეგრაციო დახმარების სახელმწიფო პროგრამაში!**

**დაგვიკავშირდით:**



[www.mra.gov.ge](http://www.mra.gov.ge)



**(+995) 32 243 11 00  
(+995) 32 231 13 37**



[reintegration@mra.gov.ge](mailto:reintegration@mra.gov.ge)



**თამარაშვილის ქ. 15<sup>ბ</sup>, 0177,  
თბილისი, საქართველო**



**„საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების“ პროგრამა**



### პროექტის შესახებ

პირველად საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ახორციელებს საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამას.



პროექტის მიზანია საქართველოში დაბრუნებული მიგრანტებისა გრძელვადიანი რეინტეგრაციის უზრუნველყოფა.



### პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოში დაბრუნებული მიგრანტებისათვის შემდეგი სერვისების მიწოდება:

- ✓ აეროპორში დახვედრა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთათვის;
- ✓ ჩამოსვლის შემდგომ პირველადი კონსულტაცია (საჭიროების შეფასებისა და დახმარების შესაძლებლობების განსაზღვრის მიზნით);
- ✓ სამედიცინო დახმარება და მედიკამენტებით უზრუნველყოფა (მწვავე, ქრონიკული, სიცოცხლისთვის საშიში დაავადებების მქონე პირებისათვის); ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია;
- ✓ პროფესიული სწავლება;



- ✓ სოციალური პროექტების დაფინანსება (შემოსავლის წყაროს გაჩენის მიზნით; ბენეფიციარის უნარ-ჩვევებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე);
- ✓ დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში;



- ✓ ანაზღაურებადი სტაჟირება (3 თვის ვადით, პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით);

- ✓ იურიდიული დახმარება (კონსულტაცია სამართლებრივ საკითხებზე, წარმომადგენლობის განხორციელება შესაბამის ორგანოებში; ფასიანი სახელმწიფო მომსახურების ანაზღაურება);
- ✓ გადამისამართება შესაბამის სახელმწიფო ან კერძო (ჯანდაცვის, განათლების, სოციალური დაცვის და სხვ.) პროგრამაში ჩართვისთვის.

